საერთაშორისო ოლიმპიად მათემატიკაში
მე-5 კლასი

1. **{4ქ}** იპოვეთ x-ის მარტივ გამყოფთა ჯამი, თუ ცნობილია, რომ 8x - 22 = y : 2 და y = 58 - x
   ა) 19 ბ) 7 გ) 6 დ) 5 ე) 4

2. **{3ქ}** გამოთვალეთ: $\frac{1}{2}+\frac{1}{3}+\frac{1}{4}+\frac{1}{5}+\frac{1}{6}=$
   ა) $\frac{27}{60}$ ბ) $1\frac{87}{60}$ გ) $\frac{37}{60}$ დ) $1\frac{17}{60}$ ე) $1\frac{9}{20}$

3. **{1ქ}** ცნობილია, რომ თუ ჩანაწერში A და B გვერდიგვერდ არიან, A-ს შეესაბამება 1, B-ს 2, C-ს კი 3 შეესაბამება. ხოლო თუ A და B გვერდიგვერდ არ არიან, A-ს შეესაბამება 4, B-ს 5, C-ს კი შეესაბამება 6. (მაგალითად, $ABC: C - AC = 123: 6 - 46$). მაშინ რას უდრის: $BC \cdot A - BAC + AB: A =$
   ა) 12 ბ) 224 გ) 445 დ) 14 ე) 21

4. **{6ქ}** სამი რიცხვის ნამრავლი პირველ რიცხვზე 24-ჯერ მეტია, მეორე რიცხვზე 72-ჯერ მეტია, ხოლო მესამე რიცხვზე 12-ჯერ მეტია. რას უდრის პირველი რიცხვის კვადრატი?
   ა) 36 ბ) 4 გ) 144 დ) 12 ე) 6

5. **{2ქ}** თეკლეს დაფაზე დაწერილი რიცხვი უნდა გაემრავლებინა 179-ზე, თუმცა შეცდომით გაამრავლა 19-ზე და მიიღო 551. რა რიცხვს მიიღებდა თეკლე, სწორ რიცხვზე რომ გაემრავლებინა დაფაზე დაწერილი რიცხვი?
   ა) 29 ბ) 5191 გ) 3401 დ) 5091 ე) 3411

6. **{5ქ}** მანჩომ 425 გაამრავლა 4-ზე. რამდენით მეტ რიცხვს მიიღებდა, 6-ზე რომ გაემრავლებინა?
   ა) 1700 ბ) 1275 გ) 2 დ) 950 ე) 850

7. **{1ქ}** ზუკა სახლში ველოსიპედით უცვლელი სიჩქარით, 500 მ/წთ-ით, მიდის. რამდენ ხანში მივა ზუკა სახლში, თუ მისი სკოლიდან სახლამდე მანძილი 9 კმ-ია?
   ა) 18 წუთში ბ) 1 წუთში და 48 წამში გ) 36 წუთში დ) 18 წამში ე) 16 წუთში

8. **{4ქ}** თეკაკოს მოსავალი შეადგენს 1000 კგ თხილს. მან ამ მოსავლით გაავსო 56-კილოგრამიანი 7 ტომარა, 46-კილოიანი 5 ტომარა და 33-კილოიანი 8 ტომარა. რამდენი კილო თხილი არ ჩაუყრია ტომრებში თეკაკოს?
   ა) 886 ბ) 114 გ) 124 დ) 111 ე) 104

9. **{5ქ}** ქარხანაში პირველი მუშა ერთი დეტალის დამზადებას ანდომებს 4 წუთს. იგი მუშაობს შემდეგნაირად: შეუსვენებლად აკეთებს 12 დეტალს, შემდეგ კი ისვენებს 10 წუთით. მეორე მუშა ერთ დეტალს აკეთებს 3 წუთში და მუშაობს შემდეგნაირად: ზედიზედ აკეთებს 18 დეტალს და შემდეგ 30 წუთით ისვენებს. მესამე მუშა ერთ დეტალს 4 წუთში ამზადებს. იგი აკეთებს 20 დეტალს, შემდეგ კი 10 წუთი ისვენებს. რომელი უფრო მეტ დეტალს გააკეთებს საათნახევარში?
   ა) პირველი მუშა ბ) მეორე მუშა გ) მესამე მუშა დ) თანაბრად გააკეთებენ ე) ვერ დავადგენთ

10. **{3ქ}** კლასში 30 მოსწავლეა, მასწავლებელს კი 105 შოკოლადი აქვს. მან კლასის ერთ ნახევარს ერთი რაოდენობის შოკოლადები თანაბრად დაურიგა, ხოლო მეორე ნახევარს მეორე რაოდენობის თანაბრად. მეორე ნახევარში თითო ბავშვს შეხვდა 4 შოკოლადი, რამდენი შოკოლადი შეხვდა თითოს პირველ ნახევარში?
    ა) 15 ბ) 3 გ) 45 დ) 5 ე) 75

11. **{2ქ}** მირანდას სურს, რომ სახლში აიტანოს 48 კილო მუხუდო. პირველ ატანაზე აიტანა მუხუდოს მესამედი, მეორე ატანაზე მუხუდოს თავდაპირველი რაოდენობის მეოთხედი. ხოლო მესამე ატანაზე, დარჩენილის ნახევარი. რამდენი კილო დარჩა ასატანი?
    ა) 20 ბ) 15 გ) 10 დ) 4 ე) 38

12. **{4ქ}** ხუთი მეგობრებიდან თითოეულს თვითგორიას საყიდლად 15 ლარი აკლდება. თუმცა, თუ თანხას გააერთიანებენ. 4 თვითგორია მოუვათ და 15 ლარი კიდევ დარჩებათ. რა ღირს თვითგორია?
    ა) 90 ბ) 360 გ) 75 დ) 30 ე) 85

13. **{1ქ}** მრგვალ მაგიდას 4 მეგობარი შემდეგი თანმიმდევრობით, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით უზის: დათო, დათუნიკა, ნიკა და გიგლა. მათ აქვთ ბურთი, რომელსაც ერთმანეთს აძლევენ. თუ მეზობლისგან აიღო, მაშინ არამეზობელ მჯდომს, სხვა შემთხვევაში, მარჯვნივ მჯდომს აძლევენ. ვის ექნება ბურთი 5 გადაწოდების მერე, თუ თავიდან ის დათუნიკას ჰქონდა?
    ა)დათო ბ) დათუნიკა გ) ნიკა დ) გიგლა ე) ვერ დავადგენთ

14. **{6ქ}** 12 წყვილი წინდა იმდენი ღირს, რამდენიც 3 მაისური. 6 მაისური იმდენი ღირს, რამდენიც 1 ფეხსაცმელი. ცხრა შარვალი იმდენი ღირს, რამდენიც 3 ფეხსაცმელი. რამდენი შარვალი მოგვივა 96 წყვილი წინდის ფასად?
    ა) 3 ბ) 8 გ) 12 დ) 18 ე) ვერ დავადგენთ

15. **{4ქ}** რამდენი სამკუთხედია ნახაზზე?



    ა) 2 ბ) 4 გ) 5 დ) 7 ე) 9

16. **{3ქ}** მაღაზიაში იყიდება სამნაირი დანა და ოთხნაირი ჩანგალი. რამდენნაირი დანა-ჩანგლის წყვილი შეგვიძლია ვიყიდოთ მაღაზიაში?
ა) 3 ბ) 4 გ) 7 დ) 12 ე) 6

17. **{1ქ}** ყუთში ერთი ბაქტერიაა, რომელიც ყოველ მეორე დღეს ორმაგდება. აღმოჩნდა, რომ მეოცე დღეს ყუთი ბაქტერიებით მთლიანად გაივსო. რამდენ დღეში გაივსო ყუთის ნახევარი ბაქტერიებით?
ა) 2 დღეში ბ) 5 დღეში გ) 10 დღეში დ) 11 დღეში ე) 19 დღეში

18. **{5ქ}** ალექსის საათი ჩამორჩება 3 წუთით. რომელი საათია ახლა, თუ 12 წუთში ალექსის საათი გვიჩვენებს 15:15-ს?
ა) 3 საათია ბ) 4-ის ნახევარია გ) 4-ის 6 წუთია დ) 3-ის 6 წუთია ე) 4-ის 24 წუთია

19. **{1ქ}** ბოთლში ეტევა 3ლ რძე. გოგის სურს, რომ 22ლ რძე იყიდოს. რამდენი ბოთლი დასჭირდება ამისთვის?
ა) 6 ბ) 7 გ) 8 დ) 11 ე) 22

20. **{6ქ}** რამდენი 0-ით ბოლოვდება 13 დან 69-მდე ყველა რიცხვის ნამრავლი?
ა) 13 ბ) 11 გ) 12 დ) 4 ე) არ ბოლოვდება 0-ით

21. **{4ქ}** რიცხვი მეტია 18-ზე, მაქსიმუმ რა რიცხვზე მეტი იქნება აუცილებლად ამ რიცხვის მესამედი?
ა) 9-ზე ბ) 12-ზე გ) 3-ზე დ) 6-ზე ე) 18-ზე

22. **{3ქ}** დაამრგვალეთ რიცხვი ასეულებამდე: 173512.
ა) 174000 ბ) 173510 გ) 173500 დ) 170000 ე) 512

23. **{2ქ}** 600 დან 750-მდე რამდენ რიცხვში გვხვდება ციფრი 5-იანი მხოლოდ ერთხელ?
ა) 23 ბ) 24 გ) 25 დ) 22 ე) 150

24. **{4ქ}** რისგან შედგება ტეხილი?
ა) წრფეებისგან ბ) სხივებისგან გ) მონაკვეთებისგან
დ) მართკუთხედებისგან ე) რიცხვებისგან

25. **{1ქ}** აირჩიეთ პასუხი, რომელშიც აუცილებლად კენტი რიცხვი მიიღება
ა) კენტი და ლუწი რიცხვების ნამრავლი
ბ) ლუწი რიცხვების ჯამისა და კენტის რიცხვების ჯამის ნამრავლი
გ) ლუწი რიცხვების ჯამი
დ) ლუწისა და კენტის ჯამისა და ლუწისა და კენტის სხვაობის ნამრავლი
ე) ლუწი რაოდენობით კენტი რიცხვების ჯამი

26. **{6ქ}** თორნიკეს ოთახი 4მx3მ-ზეა, მაქსიმუმ რამდენი 20სმx20სმ ზომის ფილა ჩაეტევა თორნიკეს ოთახის იატაკზე?
ა) 150 ბ) 200 გ) 300 დ) 400 ე) 350

27. **{4ქ}** რამდენი ბოლო აქვს წრფეს?
ა) ერთი ბ) ორი გ) ოთხი დ) უამრავი ე) არცერთი

28. **{3ქ}** მარიამი სამიზნეში ისვრის. რამდენი განსხვავებული ქულის აღება შეუძლია მას თუ მხოლოდ ორჯერ ისვრის? (გაითვალისწინეთ, რომ აცილების შემთხვევაში აიღებს 0 ქულას)



ა) 5 ბ) 9
გ) 3 დ) 10
ე) 16

29. **{1ქ}** მოცემულია ფიგურა. რომელი უფრო მეტია, ამ ფიგურის პერიმეტრი თუ ფართობი და რამდენით?



ა) პერიმეტრი 26-ით
ბ) ფართობი 27-ით
გ) ფართობი 1-ით
დ) პერიმეტრი 1-ით
ე) პერიმეტრი 3-ით

30. **{5ქ}** AB წერტილებს შორის აღებულია C წერტილი ისე, როგორც სურათზეა. რა ეწოდება C წერტილიდან გამოსულ ხაზს?



ა) მონაკვეთი
ბ) წრფის მონაკვეთი
გ) სხივი
დ) წრფე
ე) წრფის სხივი+-